პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

6 ოქტომბერი სამშაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 233 (14837)

ოქტომბრის შესახვედრად

ПРАВДА

4 ოქტომბრის მოწინავე

ახლოვდება დიდი ოქტომბრის 53-ე წლისთავი. და, როგორც ყოველთვის, ტრადიციისამებრ, რომელიც ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს არსებობის პირველი წლებიდანვე დამკვიდრდა, თვითეული კოლექტივი, თვითეული საბჭოთა ადამიანი ცდილობს სამშობლოსადმი შრომითი საჩუქრებით აღნიშნოს სახელოვანი რევოლუციური დღესასწაული.

წლევანდელ წელს — ლენინის იუბილეს წელს, ხუთწლედის დამამთავრებელ წელსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის წინა წელს — ახასიათებს მასების განსაკუთრებით მაღალი შრომითი აქტივობა, სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი აღმავლობა. მოსკოველთა თაოსნობით გაჩაღდა საყოველთაო-სახალხო მოძრაობა პარტიის ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, რომლის დროს მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია ყოველ ღონეს ხმარობენ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის. შრომითი კოლექტივების ვალდებულებანი ითვალისწინებენ შრომის ნაყოფიერების ზრდის, ახალ სახეობათა პროდუქციის ათვისების, ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესების, ნედლეულისა და მასალების დაზოგვის კონკრეტულ ორგანიზაციულ და ტექნიკურ ღონისძიებებს. მთელ რიგ ამ ვალდებულებათა შესრულება უკავშირდება დიდი რევოლუციის წლისთავს, და, ამრიგად, ტრადიციული საოქტომბრო ვახტი წინასაყრილობო სოციალისტური შეჯიბრების დიდმნიშვნელოვანი ეტაპი გახდა.

ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან მოდის ამ დღეებში ცნობები ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლის წარმატებათა შესახებ. საბჭოთა ხალხი მტკიცედ ასრულებს სკკპ XXIII ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს. ხუთწლედის ფინიშზე სწრაფი ტემპებით მუშაობს ჩვენი ინდუსტრია. ჯერ არა გვაქვს სამი განვლილი კვარტალის საბოლოო მონაცემები, მაგრამ უეჭველია, რომ მისი ძირითადი საგეგმო მაჩვენებლები გადაჭარბებით სრულდება. წელს გათვალისწინებული იყო 6,3 პროცენტით გაგვედიდებინა სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობა, ფაქტიურად კი იანვარ-აგვისტოში ამ ზრდამ შეადგინა 8,8 პროცენტი, ხოლო ცხრა თვის გეგმა ვადაზე ადრე შესრულდა მეტ წილ მოკავშირე რესპუბლიკებში. ჩვენი ქვეყნის ბევრი რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა კარგი მოსავალი მოიყარეს; უკანასკნელი კვირეების მანძილზე კვლავ შეივსო მოწინავეთა რიგები, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის საგეგმო დავალებანი; ეს უპატაკეს სამშობლოს ვოლგოგრადს, როსტოვის, ურალის, რიაზანის, კუიბიშევისა და სხვა ოლქების მხვნელ-მთესველებმა. შესანიშნავი კოსმოსური გამარჯვებით დაგვირგვინდა „ლუნა-16“ ავტომატური სადგურის ფრენა, რამაც დამაჯერებლად უჩვენა მთელ მსოფლიოს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი პროგრესი.

ჩვენი ქვეყნის ყველა წარმატებაში უდიდეს როლს ასრულებს ოქტომბრით შობილი ძმური მეგობრობა საბჭოთა ხალხებისა, მათი ურთიერთდახმარება. ამ მეგობრობის მძლავრი ძალის ახალი დემონსტრაცია იყო მთელი რიგი რესპუბლიკების ნახევარი საუკუნის იუბილეს დღესასწაული, მათ შორის საბჭოთა აზერბაიჯანის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი. ერთიან მწყობრად, მშობლიური პარტიის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებულ სსრ კავშირის ყველა ხალხს თავისი წვლილი შეაქვს კომუნისტური მშენებლობის საერთო საქმეში.

— შეგვიძლია მტკიცე რწმენით ვთქვათ, — ხაზგასმით აღნიშნა ბაქოში ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, — რომ მიღწეულია ახალი მაღალი მიჯნები ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, სოციალისტური ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის კეთილმოწყობაში. ახლა უკვე ცხადია, რომ სკკპ XXIII ყრილობის დირექტივები ხუთწლიანი გეგმის შესახებ ძირითადად შესრულდება. ხუთწლიანში ჩვენი ქვეყნის მრეწველობა დაახლოებით ერთნახევარჯერ გაადიდებს წარმოებას, მნიშვნელოვნად გაიზრდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება.

ახლა, ოქტომბრის დღესასწაულის ზღურბლზე, სოციალისტური შეჯიბრება კიდევ უფრო ფართოდ ჩადგება, მდიდრდება მილიონთა შემოქმედებითი ძიებით, ორგანიზატორული მუშაობის შესანიშნავი გამოცდილებით. სკკპ XXIV ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებებისათვის მაღალი პასუხისმგებლობის მაგალითს გვიჩვენებენ მისი ინიციატორები — მოსკოვის მშრომელები. ახლა დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციები რაზმავენ შრომითს კოლექტივებს შეჯიბრების იმ უახლოესი ამოცანის მისაღწევად, რომ 7 ნოემბრისათვის შეასრულონ ხუთწლედი. მოსკოველთა დევიზს — „ოვითეულ სამუშაო ადგილას შრომის უფრო მაღალი ეფექტიანობისათვის!“ — განამტკიცებს წარმოების ყოველდღიური სრულყოფა, მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერება. საწარმოებში შექმნილია ნოვატორთა კომპლექსური შემოქმედებითი ბრიგადები. ეწყობა საზოგადოებრივი რეიდები და რეზერვების გამოყენების დათვალიერებანი, ინერგება შრომის მეცნიერული ორგანიზაცია. ამან რეალური გახადა მასობრივი მოძრაობა იმისათვის, რომ თვითეულმა მუშამ ვადაზე ერთი თვით ადრე შეასრულოს წლიური დავალება.

ბევრი რამ ახალი წარმოშვა წინასაყრილობო შეჯიბრების პრაქტიკამ ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებსა და სოფლებში, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ჩრდილოეთდონეცკელი ქიმიკოსები იბრძვიან წარმოების რეკონსტრუქციისა და ავტომატიზაციისათვის, ნორილსკელი მეტალურგები ვადამდე ეუფლებიან ამოქმედებულ სიმძლავრეებს, უზბეკელთის მეგობრებები ფართოდ იყენებენ მოსავლის მანქანურ კრეფას, რათა სამშობლოს მისცენ მეტი პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით... სხვადასხვაგვარია ვალდებულებანი, მრავალფეროვანია შეჯიბრების ფორმები, მაგრამ მონაწილეთა მთავარი მიზანი ერთია — კიდევ უფრო განამტკიცონ სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისა და ეკონომიური რეფორმის პირობებში სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარება ახალ დიდ მოთხოვნებს უყენებს პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს, სამეურნეო კადრებს. ამ მასობრივი პატრიოტული მოძრაობის ხელმძღვანელობა დღეს უწინარეს ყოვლისა იმას ნიშნავს, რომ უნარიანად წარვმართოთ მშრომელთა ინიციატივა წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, მისი ინტენსიფიკაციის ზრდის ძირეული პრობლემების გადასაჭრელად, სწორად შეეუხამოთ ერთმანეთს მორალური და მატერიალური სტიმულები. ახლა, როცა ფართოდება მზადება ოქტომბრის დღესასწაულისათვის, ფრიად საჭიროა ყველა კოლექტივში ზუსტად განვსაზღვროთ, თუ რა უნდა გაკეთდეს კონკრეტულად უახლოეს თვეში წინასაყრილობო ვალდებულებათა შესასრულებლად. სწორად იქცევიან იქ, სადაც განსაკუთრებით ზრუნავენ დასახულის შესრულების მატერიალურ-ტექნიკური წანამძღვრების შექმნისათვის. აძლიერებენ საზოგადოებრივ კონტროლს შეჯიბრების მიმდინარეობისადმი, აქტიურად აჩაღებენ მასობრივ პოლიტიკურ მუშაობას. სიტყვისა და საქმის ერთიანობას უზრუნველყოფს მხოლოდ მაღალი ორგანიზებულობის, მტკიცე შრომითი დისციპლინის, საერთო წარმატებისათვის ყველა მშრომელთა შეგნებული პასუხისმგებლობის ვითარება.

დაიწყო ხუთწლედის დამამთავრებელი წლის უკანასკნელი კვარტალი. კიდევ ბევრი და შეუპოვრად უნდა ვიმუშაოთ, რომ შევასრულოთ ნაკისრი ვალდებულებანი, მტკიცე საფუძველი შევუქმნათ ჩვენი ეკონომიკის შემდგომ დინამიკურ განვითარებას. დაე ახალი ძალით გაჩაღდეს საყოველთაო-სახალხო შეჯიბრება პარტიის XXIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის! დაჯდეთ ოქტომბრის დღესასწაულის აღსანიშნავ დამკვრელურ ვახტზე!

შეხვედრა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

4 ოქტომბერს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებს. ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. გ. ა. ალიევმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს ეკონომიური და კულტურული მშენებლობა საბჭოთა აზერბაიჯანში, შეეხო პოლიტიკურ მუშაობას, რომელსაც რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები ეწევიან. განხილულ იქნა აზერბაიჯანის სსრ განვითარების უმნიშვნელოვანესი პერსპექტიული პრობლემები.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ბაქოდან გაემგზავრა

4 ოქტომბერს ბაქოდან გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც მონაწილეობდა აზერბაიჯანის სსრ და აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში.

იმავე დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მოსკოვში დაბრუნდა. (საკადესი).

საქართველოს დელეგაციის დაბრუნება

ბაქოდან დაბრუნდა საქართველოს სსრ დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე (ხელმძღვანელი), პოეტი რ. მარგიანი, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მქსოველი სოციალისტური შრომის გმირი ე. სოლომონია, ლაგოდეხის რაიონის ილია ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბ. ცქიფურიშვილი და სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. ზაქარიაძე. დელეგაცია მონაწილეობდა აზერბაიჯანის სსრ და აზერბაიჯანის კომპარტიის 50 წლისთავის დღესასწაულისადმი მიძღვნილ ზეიმში. (საქადესი).

მოძმე აზერბაიჯანში

საიუბილეო პატაკი

ბაკო, (საკადესის კორ.). „აზერბაიჯანნავთობდაზვერვის“ ტრესტის ბურღვის პირველი კახტორის მბურღავებმა, რომლებიც ნავთობისა და გაზის ახალ ბუდობებს ეძებენ ბაქოს სამხრეთით 80 კილომეტრზე, პირველებმა რესპუბლიკაში ვადამდე შეასრულეს წლიური გეგმა. ათმა ბრიგადამ გაბურღა 23 ათასი მეტრი.

წლიური დავალების გადაჭარბებით ჩქაროსნანმა მბურღავებმა გადაწყვიტეს გაბურღონ ხუთი ათასი მეტრი ჭაბურღილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ორგანო

საქართველოს სსრ

საქართველოს

საქართველოს

საქართველოს

ანგარიშგება-პარტიულ პარტიულ ორგანიზაციებში

უფრული მოხსენება, მდგავე კამათი

ქალაქ ტყიბულის მშენებლობის, მისი შემდგომი განვითარების საქმეში დიდი წვლილი შეიტანს ტყიბულმშენის სამმართველოს კოლექტივს. აქაური მშენებლები მეტად პასუხსაგები ამოცანების წინაშე დგანან საიუბილეო დღეებში. მათ წელს უნდა შეასრულონ 8 მილიონ მანეთისაზე მეტი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, ააშენონ და საექსპლოატაციოდ გადასცენ 5 686 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, მშენებარე 51 ობიექტიდან წელს ასამუშავებელია 12. ერთი სიტყვით, გეგმები საპატიოც არის და პასუხსაგებიც.

სწორედ ამანაც განაპირობა დიდი ინტერესი ტყიბულმშენის სამმართველოს პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებისადმი.

პარტიული ბიურო კრებისათვის მზადებას დროულად შეუდგა. კომისიამ ფეხდაფეხ შემოიარა სამშენებლო ობიექტები. კომუნისტები ადგილზე გაეცნენ ნაკლოვანებებს, ესაუბრნენ მშენებლებს, ჩაინიშნეს მათი შენიშვნები, სურვილები, რაც გათვალისწინებული იყო საანგარიშო მოხსენების შედგენის დროს.

კრება დაიწყო... როგორც მომხსენებელმა — ტყიბულმშენის სამმართველოს პარტიბიუროს მდივანმა ე. ბერეგაძემ თქვა, სამმართველოში მომუშავე 45 კომუნისტიდან დიდი უფროსობა სამშენებლო ხარაჩოებზეა, თავიანთი მოუღლელი მარჯვენით აშენებს საცხოვრებელი ბინებსა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობებს. ისინი მშენებელთა კოლექტივის სათავეში დგანან და დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან მინდობილ საქმეს, კარგ მაგალითს უჩვენებენ რიგით, უპარტიო მუშებს. სწორედ კომუნისტების დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ სამმართველოს კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა გასული სამეურნეო წლის დავალებანი. მიმდინარე წლის რვა თვეში კი ბინათმშენებლობის სახელმწიფო გეგმა 150 პროცენტით შესრულდა.

კრებაზე აღინიშნა ამ სამშენებლო უბნების კარგი მუშაობა, რომელთაც ენერგიული, საქმის მცოდნე კომუნისტები ბ. მესხი და ა. ჩუბინიძე უდგანან სათავეში.

ორგანიზატორული და იდეოლოგიური საქმიანობის გაუმჯობესებამ აამაღლა მშენებელთა აქტივობა. აქ ბევრ კარგ ინიციატივას ჩაეყარა საფუძველი. პირველ რიგში აღსანიშნავია მშენებლობის ზოგიერთი ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესება. კომუნისტების ვ. ჯიშიაშვილის, ვ. ქარქაშაძის და ვ. რიფაძეძის წინადადებით მშენებლობაზე დაინერგა ხიმინჯების გამოყენების მეთოდი, რამაც გააიაფა ნაგებობათა ფუნდამენტების მშენებლობა და წარმოებას ასი ათას მანეთზე მეტი ეკონომია მისცა. კომუნისტებმა ბევრი კარგი წინადადება შემოიტანეს მშენებლობის თვითდირებულების გასაიაფებლად.

მსგავს ფაქტებსა და მაგალითებს მოხსენებაში ანალიზი ჰქონდა გაკეთებული. მაგრამ პარტბიუროს ანგარიშმა მაინც მოლიანად ვერ დააკმაყოფილა კომუნისტები. პარტიული მუშაობის ზოგიერთი დადმნიშვნელოვანი უბანი ზერელედ იყო გაშუქებული. პარტიის საწესდებო მოთხოვნათა დამღვევი კომუნისტებისა და სამმართველოს ხელმძღვანელების კრიტიკას მდივანმა თავი აარიდა. მან არც თვითკრიტიკაით შეიწუხა თავი. მოხსენება გადატვირთული იყო გეგმის შესრულების ციფრობრივი მონაცემებით, ბუნრად მთელი გვერდი იკავა, სხვადასხვა ცხრილებს, წინა წლის მაჩვენებლებთან შედარების დემონსტრირებას, რაც ზოგჯერ სრულებით არ იყო საჭირო. ყოველივე ამან საკმაო დრო წაართვა კრების მონაწილეებს.

მდგომარეობა ორიოდე სიტყვით შეეხო პარტიის რიგებში მიღების, ეიდელის გაზეთისა და ლექციური მუშაობის საკითხებს, ერთი სიტყვაც არ უთქვამს აგიტატორებისა და პოლიტინფორმატორების საქმიანობაზე. კრებაზე დამსწრეებმა მოხსენებიდან ვერ შეიტყვეს, თუ საანგარიშო პერიოდში კომუნისტები როგორ ასრულებდნენ პარტიულ დავალებას, ან რა დონეზე იდგა მილიონულ დადგენილებათა შესრულების შემოწმება.

მოსალოდნელი იყო, რომ ასეთი უფერული მოხსენება თავისებურ დაღს დაასვამდა კრების მსვლელობას, შეიტანებდა მის საქმიანურ ხასიათს, მაგრამ, სახედნიეროდ, ასე არ მოხდა. იმაზე, რაც მომხსენებელს გამორჩა, მოურიდებლად ილაპარაკეს კამათის მონაწილეებმა და მოხსენების ხარვეზებიც შეავსეს.

მლესავთა ბრიგადის ხელმძღვანელმა კ. მორჩაძემ გულისტკივილით ილაპარაკა მშენებლობის ზოგიერთი ეგრეთწოდებული „ვიწრო ადგილების“ შესახებ: ახლა ქალაქში გამოცხადებულია სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენების დათვალიერების ორთვიური, მაგრამ რა უნდა ვქნათ, როცა დროულად არ გვაწვდიან ბეტონს და ზოგიერთ სხვა სამშენებლო მასალებს, როცა ხშირად ბეტონის ხსნარის მოლოდინში ჩვენი ბრიგადის 25 მლესავი „ცვლაში 1,5-2 საათით ცდება?! მშენებლები დარჩენილ სამუშაო საათებში ცდილობენ დაიჭარონ შელესვითი სამუშაოები, რათა აინაზღაურონ ფუჭად დაკარგული დრო. ეს კი იწვევს წუნს. კარგი იქნებოდა, რომ პარტიულ ბიუროს პრინციპულად ემსჯელა ამ საკითხზე.

სამუშაოთა მწარმოებლებმა რ. კუპრაშვილმა და ლ. ოთხელიანმა თქვეს, რომ მშენებლებს საკმაო რაოდენობით არ აძლევენ ავტომანქანებს, რის გამო ფერხდება ტვირთის გადაზიდვა და მუშების სამშენებლო ობიექტებამდე მიყვანა. ამ მხრივ ბევრი კონკრეტული მაგალითიც დასახელეს.

— სკოლის მშენებლობას როცა ვიწყებდით, — ამბობდნენ ისინი, — სოფლის მეხვეურები ბევრ დახმარებას დაგვპირდნენ, მათ შორის საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციასაც, მაგრამ მოგვატყუეს. დღეს ბევრი ითქვა მშენებლობის ხარისხზე. მაგრამ ხარისხის კი გაუმჯობესებაზე უნდა ვილაპარაკოთ, როცა ქალაქის სამრეწველო კომბინატის აგურის ქარხნის გამოშვებული პროდუქცია ხშირად უვარგისია. ამაზე ჩვენ არაერთხელ ვუსაყვედურეთ ქარხნის ხელმძღვანელებს, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყვა.

ინჟინერმა ალ. გვინეტაძემ, აგრეთვე სხვა მოკამთეებმა აღნიშნეს, რომ კომუნისტთა ერთმა ნაწილმა საწესდებო მოვალეობა დაივიწყა და პარტიული კრებების მომზადება-ჩატარებაზეც განსაკუთრებულ მასაუროობას იჩენსო. ხდება უარესიც. ზოგი მოვალედ არ თვლის თავს, რომ სისტემატურად დაესწროს კრებას, ხშირად იგვიანებს. პარტიული ბიუროს ხანთანდო ზომებს არ იღებდა ასეთი კომუნისტების მიმართ. წაყრუებას მეთოდმა სავალალო მდგომარეობამდე მიგვიყვანა. საანგარიშო პერიოდში კომუნისტების გამოუცხადებლობის გამო ერთი პარტიული კრება ჩაშალა.

მოკამათეებმა ისიც თქვეს, რომ ხათანადო ყურადღება არ ექცევა დადგენილებათა შესრულების კონტროლს, შემოწმებასო. ეს ერთ-ერთ პარტიულ კრებაზე მწვავედ დადგა მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების საკითხი. ბევრმა კომუნისტმა თავისი აზრი გამოთქვა, კრებამ მიიღო საკმაოდ ვრცელი დადგენილებაც. ერთ-ერთი პუნქტი დადგენილების შესრულების შემოწმებას ითვალისწინებდა. მაგრამ დაწერილი ქაღალდზე დარჩა. პარტბიუროს აღარ მოგონდა დადგენილების შემოწმება. უხარისხო მშენებლობის ფაქტებს კი კვლავ ვხვდებით...

კრების მონაწილეები ვერ დააკმაყოფილა სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარის შ. კუბლაშვილის გამოსვლამ. მან ზოგადად ილაპარაკა შრომის დისციპლინის, მუშაობა დენადობის და პროფკავშირული მუშაობის საკითხებზე. მაგრამ, როცა ტრიბუნიდან ჩამოდიოდა, გაისმა ამხანაგების რეპლიკა: რა გაიკეთე შენ, როგორც სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარემ? იგი იძულებული გახდა ისევ დაეკავებინა ადგილი ტრიბუნაზე... თუმცა უნდა ითქვას, რომ მაინცდამაინც ბევრი საინტერესო ვერაფერი უთხრა კრებას სახალხო კონტროლის ჯგუფის მიერ გაწეულ მუშაობაზე.

ტყიბულმშენის სამმართველოს უფროსმა ვ. იაშვილმა სამართლიანად ცნო სამმართველოს ხელმძღვანელობის მოსამართალი გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები.

კამათი კარგა ხანს გაგრძელდა, იგი იყო მწვავე. შემტევან ფ. პირდაპირი. ახალგარჩეულმა პარტბიუროს დროულად უნდა მოაკიდოს ხელი ამ ბევრი ნაკლის გამოსწორებას, რაც ასე დაუფარავად ითქვა საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სახელმწიფო სტანდარტი და ნორმები

ხარისხი მუდმივი საზრუნავია

შარშან სექტემბერში სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ წინადადებით მიმართა მასში შემავალ ყველა ქვეყანას მოეწყოთ სტანდარტიზაციის საერთაშორისო დღე, რომლის დევიზი იქნებოდა: „სტანდარტიზაცია ეროვნული ეკონომიკის განვითარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საშუალებაა“. ეს წინადადება სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ყველა ქვეყანამ განხილა და ერთსულოვნად მოიწონა. და აი წელს 14 ოქტომბერს მთელ მსოფლიოში პირველად აღინიშნება სტანდარტიზაციის საერთაშორისო დღე.

განთავისუფლება რა სტანდარტიზაციის როლი და მნიშვნელობა ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება 14 ოქტომბერს წელს ქვეყანაში აღინიშნოს სტანდარტიზაციის დღე, რომელიც საბჭოური სტანდარტიზაციის მიღწევების საკავშირო ჩვენებად ექნება.

ტექნიკური პროგრესის თანამედროვე ეტაპზე ჩქარი ტემპით ვითარდება სახალხო მეურნეობის ახალი დარგები, ახალი ტექნიკური იდეურვება მოქმედი საწარმოები, სულ უფრო სრულყოფილი ხდება მანქანებისა და მოწყობილობათა კონსტრუქციები, წარმოებაში ინერგება ახალი მასალები, ფართოდ მიმდინარეობს „ჩარმოების სპეციალიზაცია. ამიტომ ამ პირობებში სტანდარტიზაცია განიხილება როგორც მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების განსაზღვრის, წარმოების პროცესის რაციონალიზაციისა და ეროვნული შემოსავლის გაზრდის ძირითადი საშუალება.

საბჭოთა კავშირი ერთ-ერთი წამყვანი სახელმწიფოს როლს ასრულებს საერთაშორისო სტანდარტიზაციის განვითარებაში, ჩვენი ქვეყანა აქტიურად მუშაობს ამ ორგანიზაციის მმართველ ორგანოებსა და ტექნიკურ კომიტეტებში.

დღეისათვის სსრ კავშირს წარმოადგენლები ჰყავს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის 85 ტექნიკურ კომიტეტში, სათავეში უდგას 5 სამეთვნოს და მუშაობა 18 ჯგუფს.

მომდინარე წელს სტანდარტების კომიტეტმა შეიმუშავა და დაამტკიცა „სტანდარტიზაციის სახელმწიფო სისტემის“ სტანდარტების ერთიანი კომპლექსი — სახელმწიფო სტანდარტი № 1. ეს სტანდარტი ორგანულად აკავშირებს დარგობრივ, რესპუბლიკურ და საწარმოო სტანდარტიზაციის სამუშაოებს და სპობს ამ სფეროში დღემდე არსებულ დაჩაქაჩულობას, როგორც ზოგად სამრეწველო და სოფლის მეურნეობის, ისე თავდაცვის მრეწველობაში.

„სტანდარტიზაციის სახელმწიფო სისტემის“ ძირითადი დებულებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობენ. მათში დადგენილია სტანდარტიზაციის სამუშაოთა ჩატარების წესები სტანდარტების დამუშავებიდან დანერგვამდე. „სტანდარტიზაციის სახელმწიფო სისტემა“ ადგენს სტანდარტების 4 ძირითად კატეგორიას: სახელმწიფო, დარგობრივ, რესპუბლიკურ და საწარმოო სტანდარტს.

1965 წლიდან შემოღებულია ყველა დარგობრივი სტანდარტისა და ტექნიკური პირობების აუცილებელი სახელმწიფო რეგისტრაცია. ამ მიზნით შექმნილია სტანდარტების საკავშირო საინფორმაციო ფონდი, სადაც დღემდე რეგისტრირებულია 45 ათასი დოკუმენტი. საქართველოში რესპუბლიკური სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების რეგისტრაცია ხორციელდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სტანდარტების კომიტეტის რწმუნებულის სამმართველოში.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა სტანდარტიზაციის საშუალოთა მოცულობა. თუ 1964 წელს დამტკიცებული იყო 750 სახელმწიფო სტანდარტი, 1965 წელს ამ რიცხვმა 1.100-ს მიაღწია, ხოლო 1969 წელს — 2.400-ს. დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების რიცხვი 14.500-ს აღემატება, მათ შორის ნახევარზე მეტი დამტკიცებულია უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული დარგების მრეწველობის სტანდარტიზაციის დონე ჯერ კიდევ არასაკმარისია. ასეთ დარგების რიცხვს ეკუთვნის ავტომობილი, გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა, საფეიერო და ქვეყნის მრეწველობა. ჩვენს რესპუბლიკაში, სადაც ათასზე მეტი დასახელების სხვადასხვა ნაკეთობა მზადდება, ხშირადაა ერთი ათასზე მეტი სახელმწიფო სტანდარტი. და რეალისმდე ტექნიკური პირობა. მომდინარე წლის იანვრიდან ყველა ახლადდამუშავებული და გადასახადი სტანდარტი, აგრეთვე ტექნიკური პირობა „სტანდარტიზაციის სახელმწიფო სისტემის“ — სახელმწიფო სტანდარტის № 1-ის მოთხოვნათა შესაბამისად უნდა სრულდებოდეს.

აღნიშნული სისტემის თანახმად რესპუბლიკური სტანდარტი უნდა დამუშავდეს საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური საწარმოების მიერ დამზადებულ პროდუქციაზე. სტანდარტების კომიტეტი და მისი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები სამინისტროების მონაწილეობით ამუშავებენ მეთოდურ მითითებებსა და ღონისძიებებს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. ამ ღონისძიებათა რიცხვს ეკუთვნის პროდუქციის ხარისხის დონის შეფასება, საიმედოობის მაჩვენებლთა შერჩევა, ეკონომიური ეფექტიანობის გაანგარიშება, პროდუქციის ხარისხის დაკვალვა და სტატისტიკური მეთოდების გამოყენება პროდუქციის ხარისხის შემოწმების დროს.

უნდა აღინიშნოს, რომ სტანდარტიზაციის სამუშაოთა შემდგომი გაფართოებისათვის გაწეულია დიდ სამუშაოთა მიუხედავად ჯერ კიდევ მოისუსტებს სახელმწიფო სტანდარტების დროულად დანერგვა. ამ მხრივ კარგ მაჩვენებლებს ვერ დაიკვეხნიან ადგილობრივი მრეწველობის, ქვანახშირის მრეწველობის, შავი მეტალურგიის მრეწველობის სამინისტროთა საწარმოები.

ჩვენს ქვეყანაში პროდუქციის ხარისხის ამაღლების ერთ-ერთ ქმედით ღონისძიებად მიჩნეულია სამრეწველო პროდუქციის სახელმწიფო ატესტაცია და საუკეთესო ნაკეთობისათვის სახელმწიფო „ხარისხის ნიშნის“ მინიჭება. დღეისათვის სახელმწიფო „ხარისხის ნიშანი“ მინიჭებული აქვს 2.100 სახის პროდუქციას, რომელთა ხარისხის მაჩვენებლებიც არამარტო შეესაბამებიან საუკეთესო ანალოგიურ უცხოურ ნიმუშებს, არამედ ხშირ შემთხვევაში აღემატებიან კიდეც.

სინანულით უნდა ითქვას, რომ მიუხედავად დიდი ღონისძიებებისა ჩვენს რესპუბლიკაში დღეისათვის „ხარისხის ნიშანი“ მინიჭებული აქვს მხოლოდ 4 სახის პროდუქციას — ღვინოსა და კონიაკს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის საკითხს. ჯერ კიდევ ვხედავთ უხარისხო პროდუქციის გამოშვების ცალკეულ ფაქტებს. მიდინარე წელის პირველ ნახევარში ჩარხსამშენებლო და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს სამი შემოწმებული საწარმოდან ორში ადგილი ჰქონდა სახელმწიფო სტანდარტების დარღვევის და დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების ფაქტებს. ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს 5 საწარმოში შემოწმებული 10 სახელმწიფო სტანდარტიდან 4 სტანდარტი ირღვეოდა, საშენი მასალების მრეწველობის სამინისტროში 4 სტანდარტიდან — 2 და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ საწარმოებში ცენტრალური საზომი ტექნიკის საკონტროლო ლაბორატორიები უდიდეს როლს ასრულებენ პროდუქციის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისთვის, ადგილობრივი მრეწველობის, სოფლისა და ზოგიერთი სხვა სისტემათა დაქვემდებარების მთელ რიგ საწარმოებში ან სრულებით არ არის ლაბორატორიები, ანდა ისინი მიეკუთვნებიან მეორეხარისხოვან, დამხმარე სამსახურთა რიცხვს. ასეთი ლაბორატორიები აღჭურვილი არ არიან სათანადო დანადგარებით, მოწყობილობითა და საჭირო ხელსაწყოებით, აკლიათ სათანადო კვალიფიკაციის კადრები.

ჩვენთან ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სტანდარტიზაციის სწავლებას უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში, თუმცა ეს საკითხი საკმაოდ მოსწავდა, ამასთან ჩვენი ქვეყნის მოწინავე სამრეწველო ცენტრების უმაღლეს და სპეციალურ სამეცნიერო სასწავლებლებში ამ საკითხების უკვე სწავლობენ.

ჩვენს ქვეყანაში სტანდარტიზაციის საერთაშორისო დღის ჩატარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ეს ხელს შეუწყობს სამამულო სტანდარტიზაციის იდეებისა და პრაქტიკის პროპაგანდას, დასახავს სტანდარტიზაციის შემდგომი განვითარების გზებსა და ამოცანებს, კიდევ უფრო გააფართოებს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მუშაობას, ხელს შეუწყობს სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, სრულყოფის საქმეს.

ბ. ზედგინიძე,
სტანდარტების საკავშირო კომიტეტის რწმუნებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში.

ვარტიული სწავლება

საინტერესო სჯა-ბაასი

თბილისი, ლენინის რაიონი...

იზოლიტის ქარხანა. დიდი ბელადის საიუბილეო წელი. ახალი ვალდებულებები. აგერ უკვე მეათე თვეა იზოლიტის ქარხანაში გეგმები გადაჭარბებით სრულდება. შრომითი ალმავლობის ამ ვითარებაში დაიწყო „კომუნისტის მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის შემსწავლელი თეორიული სემინარის“ მეცადინეობა, რომელსაც ხელმძღვანელობს ქარხნის დირექტორი იური მეიბეილი.

სემინარში გაერთიანდნენ წარმოების განყოფილებებისა და სამაქრების უფროსები, წამყვანი ინჟინრები...

1 ოქტომბერს, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, დირექტორის კაბინეტში თავი მოიყარა სემინარის ოცდაშვიდმეკი მსმენელმა. მეცადინეობის თემა „ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს“ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება, რომელშიც ასახულია უკვდავი ლენინის ცხოვრება, მისი ბრძოლა კაპიტალის უღლისაგან მშრომელთა განთავისუფლების საქმეში; როგორ იწრთობოდა ლენინიზმი და გზას უკაფავდა ხალხს ნათელი მომავლისაკენ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ, — ამბობს პროპაგანდისტი, — ხუთწლედების წარმატებით დაგვირგვინა ნბამ მსოფლიოს ხალხებს დაანახვა, რომ ლენინის მ ი ს მოძღვრება ყველაზე ჭეშმარიტი გზაა უკეთესი ცხოვრების შესაქმნელად. ამაზე მეტყველებენ ის რევოლუციური პროცესები, რომლებიც ახლა ხდება დედამიწის ხუთივე კონტინენტზე.

შემდეგ პროპაგანდისტი შეჩერდა იმ კონკრეტულ ამოცანებზე, რომლებსაც ლენინის საიუბილეო წელი უსახავს თვითეულ საბჭოთა ადამიანს.

ცოცხალ საუბარში ჩაერთნენ მსმენელებიც. ლენინის იდეების ცხოვრებისეულობაზე და მის კეთილ გავლენაზე ილაპარაკეს ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის მოადგილემ ნ. სიდამონიძემ, ენერგომექანიკური განყოფილების უფროსმა ლ. გაბელაკამ, მეორე საამქროს უფროსმა გ. ბაბიაშვილმა მიკანიტების საამქროს უფროსმა ც. ჩიტიაშვილმა. მათ შესასწავლ თემას საქმიანად დაუკავშირეს ქარხნის საჭიროებრივი საკითხები, რომელთა ლენინურად გადაწყვეტა კიდევ უფრო ამაღლებს შრომის ნაყოფიერებას.

ამ საინტერესო სჯა-ბაასით დამთავრდა მეცადინეობა, რომელიც გაგრძელდება ყოველი თვის პირველ და მესამე ოთხშაბათს.

ვ. გორგანაშვილი.

ბოლგრილობა, დანაშაული

როგორც კი თბილისი-ქუთაისის მატარებელი სადგურ რიონიდან გამოვა, რკინიგზის ქუთაისის პირველ სადგურში რატომღაც პირველ ლიანდაგზე ჩამოაყენებენ ტყიბულისაკენ მიმავალ მატარებელს, რაკი ეაგბლის ბაქანი გადაკეტილია.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ამ ერთ უწესრიგობას მეორეც ემატება. ასეთ პირობებში თბილისი-ქუთაისის მატარებლის საფოსტო ვაგონიდან ძნელდება ტვირთების გადმოტანა. ფოსტის მუშაკები ტვირთს მატარებლის ვაგონების ქვეშ ეზიდებიან. საფრთხე ემუქრება ადამიანებს.

მიმდინარე წლის 10 სექტემბრს ფოსტის მუშაკი ვ. ქვიმსაძე, რომელიც ტვირთს ცლიდა, ბედად გადაურჩა დაღუპვას. ამ შემთხვევის შემდეგ ორ დღეს მდგომარეობა თითქოს გამოსწორდა, პირველ ლიანდაგზე ალარ ჩამოაყენეს ტყიბულის მატარებელი, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ორ დღეს. მერე კი სადგურის ხელმძღვანელებმა (უფროსი ბ. მელეფაძე) ძველებურად განაგრძეს თავიანთი გულგრილობა.

ვფიქრობთ, ეს ამა თარტო უბრალო გულგრილობა, არამედ დანაშაული არის.

ბ. აბდალაძე,
კავშირგაბმულობის ქუთაისის კვანძის დატარების, ხარისხებისა და პერიოდულ გამოცემათა ექსპედიციის უფროსი.

სიცოცხლე ნაკლით

ტყიბულის ოჯახონიძის სახელობის შახტაში ამ ორი წლის წინათ შესანიშნავი ტექნიკური სიახლე გამოჩნდა. შეძენილ იქნა სამრეწველო ტელევიზიის დანადგარი, რომლის საშუალებითაც აკვირდებიან წარმოებიან ტექნოლოგიურ პროცესებს. დანადგარი თვალს ადევნებს როგორც უძირავ, ისე მოძრავ ობიექტებს.

აღნიშნულმა დანადგარმა, სამწუხაროდ, ვერ გაიკეთა ტყიბულის ოჯახონიძის სახელობის შახტაში. სიკეთე ის-არის, რომ დანადგარს აკლია საჭირო ადგილები და ზოგიერთი ნაწილები. ადგილზე ამ საქმის მოგვარება არ მოხერხდა. დახმარებას საქართველოს ქვანახშირის, კომბინატისგან ველოდეთ.

ნ. ფურცხვანიძე,
შახტის დისპეტჩერი.

კარგი დასაწყისი

(საკ. კორ.). პარტიული განათლების სისტემის ყველა რგოლში (137 სკოლა, 41 თეორიული სემინარი) ორგანიზებულად მოეწყო პირველი მეცადინეობანი. მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლას შეუდგა 2.821 მსმენელი, აქედან 1.500 კომუნისტი და 160 კომკავშირელი.

კარგად იყო ორგანიზებული პირველი მეცადინეობა, რომელიც წითელწყაროს სატყეო მეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციასთან შექმნილ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლაში გაიმართა. მეცადინეობის თემა იყო ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის საიუბილეო სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს“.

პროპაგანდისტმა, სატყეო მეურნეობის დირექტორმა ა. პაპაშვილმა მსმენელებს საინტერესოდ გადასცა ლენინიზმის ცხოველმყოფელი ძალა, მისი რევოლუციური, გარდამქმნელი როლი, მისი სიმართლე, რომლითაც იგი იბრძვის და იმარჯვებს.

მეცადინეობაზე აქტიურობდნენ მსმენელები გ. ელაშვილი, თ. ნიკლაური, გ. ელიზბარაშვილი და სხვები. როგორც პროპაგანდისტმა, ისე მსმენელებმა ეს მეცადინეობა დაუკავშირეს პრაქტიკას, თავიანთ ცხოვრებას და ხვეჭრბოროტო საკითხებს. მაგალითად, მეცადინეობის პროცესში პროპაგანდისტმა მსმენელებს მოაგონა, რომ ახლა საქართველოში გაჩაღდა საიუბილეო მზადება, რომ გაკეთდება საშვალიშვილო საქმე — დაიარგვება 50 მილიონი ხე. აქვე ითქვა, რომ წითელწყაროს სატყეო მეურნეობის ხაზით უნდა დაირგოს მილიონი ხე.

კლუბი ვაგონში

ჩვენი რესპუბლიკის რკინიგზის სადგურებზე ინტერესით მოელიან ხალმე ვაგონ-კლუბის გამოჩენას. თვლებზე შემდგარ კლუბში რკინიგზელებს, მათი ოჯახის წევრებსა და ადგილობრივ მცხოვრებლებს საშუალება აქვთ გაეცნონ ახალ ჟურნალ-გაზეთებს, ბროშურებს, ნახონ მხატვრული კინოფილმები, მოისმინონ საინტერესო საუბრები, ლექციები.

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების რაიპროფკავშირის ვაგონ-კლუბი № 24 უკვე რამდენიმე წელია ემსახურება თბილისის განყოფილების საველე სადგურების რკინიგზელებსა და მათი ოჯახის წევრებს.

ახლახან ვაგონს გაუკეთდა რეკონსტრუქცია — დაიდგა ახალი კინოაპარატურა, ახალი დასაკეცი სკამები, რამაც გაფართოვა მაყურებელთა დარბაზი. ახლა იგი 80 კაცს იტევს. ვაგონს აქვს საკუთარი რადიოკვანძი, აგრეთვე კეთილმოეწყო მომსახურე პერსონალის კუპეები, გაკეთდა საშხაპე, მუშაობს მაცივარი.

კლუბის კედლებს ამშვენებს ლამაზად გაფორმებული სტენდები, სადაც გამოფენილი მასალები დამთავალიერებელს გააცნობს რკინიგზის ტრანსპორტის განვითარებას ჩვენს რესპუბლიკაში, თბილისის განყოფილების რკინიგზელთა მიერ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. აქვეა ნაჩვენები მოწინავე რკინიგზელების პორტრეტები.

წელს ლექციებსა და საუბრებში დიდი ადგილი აქვთ დათმობილი ხაბეჭოთა საქართველოს მიღწევებს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიას. კლუბის დირექციამ სპეციალური საიუბილეო თემატური გეგმა შეიმუშავა ჩვენი რესპუბლიკის ღირსშესანიშნავი, ნახევარსაუკუნოვანი იუბილესათვის. საუბრებში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა სკკპ XXIV ყრილობისათვის მზადებას.

ვაგონ-კლუბის მუშებს (დირექტორი ვ. ბერძენიშვილი) განზრახული აქვთ პარტიის რაიონული კომიტეტების დახმარებით მოაწყონ შეხვედრები მე-11 არმიის მონაწილეებთან, სოციალისტური შრომის გმირებთან, მწერლებთან, ხელოვნების მუშაკებთან, მასწავლებლებთან, ექიმებთან, მ ო გ ზ ა უ რ ობ ა, რომელიც 16 სექტემბერს დაიწყო დასავლეთ საქართველოს სადგურებში, გაგრძელდება ერთ თვეს, შემდეგ კი ვაგონ-კლუბი მომსახურებას გაუწევს აღმოსავლეთ საქართველოს.

ლ. ხუბულური.

* * *

სურათზე: ვაგონ-კლუბის კინოდარბაზი.

ფოტო ს. კილაძისა.

იაფი, საროფიანი

ეროვნული ხელმძღვანელობა ... ეროვნული ... ...

მსოფლიო დღეს

მთავარი თემა — საერთაშორისო უფიფრთოება

ნიუ-იორკი, 5 ოქტომბერი. საკვლევის სპეციალური კორესპონდენტები ო. ანინჩინი და ი. მიკოიანი იუწყებიან:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 25-ე სესიაზე დამთავრდა მუშაობის პირველი ეტაპი — ზოგადპოლიტიკური დისკუსია, რომელშიც სამ კვირას გასტანი, დისკუსიაში მონაწილეობდნენ 70 ქვეყნის დელეგატები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 25-ე სესია

დელეგატების გამოსვლებმა ცხადყო, თუ რა პრობლემები აღელვებს ყველაზე მეტად ახლა კაცობრიობას. ორატორთა უმრავლესობამ დიდი შეშფოთება გამოთქვა ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ომების გამო. გამოსვლებში აღნიშნავდნენ, რომ ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის მოწესრიგებას გზას გაუხსნიდა ისრაელის აგრესიის შედეგების სრული ლიკვიდაცია და ისრაელის ჯარების გამოყვანა მათ მიერ ოკუპირებული მთელი არაბული ტერიტორიიდან, რასაც ითვალისწინებს უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუცია.

ამასთან დაკავშირებით დელეგატები აღნიშნავდნენ, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას, სამხრეთ როდეზიას შესაძლოა ეს ორგანიზაციის გადაწყვეტილებები და ანგარიში გაუწიონ საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრს. ორატორები მოუწოდებდნენ ხატოს ქვეყნების დელეგატებს, რომ ამ ქვეყნებმა შეწყვიტონ პორტუგალიისათვის იარაღის მიწოდება, ხოლო ინგლისის კონსერვატიული თავრობის ბაზრიზეკი, მიაყოლოს თანრდი სამხრეთ აფრიკის რასისტულ რეჟიმს, საყოველთაოდ ეწინა დაგმობილი.

ცენტრალური ადგილი დაიკავა საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების ღონისძიებათა განხილვამ. ბეგრმა ორატორმა ხაზი გაუსვა, რომ ამ საკითხის განხილვას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს.

ბევრი სოციალისტურმა ქვეყანამ წარადგინა პროექტი დეკლარაციისა „საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების შესახებ". პროექტში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების სრული შესაბამისობით ხაზგასმულია უმნიშვნელოვანესი პრინციპები, რომლებზეაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ყველა სახელმწიფო უნდა ხელმძღვანელობდეს საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის.

სოციალისტური ქვეყნების დეკლარაციის პროექტი მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს მტკიცედ დაიცვან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნები და პრინციპები, თავი შეიკავონ ძალით დამუქრებისაგან ან ძალის გამოყენებისაგან ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, განუხრელად დაიცვან უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებანი სამხედრო კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგებისა და ასეთი კონფლიქტების შედეგად ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჯარების გამოყვანის შესახებ.

დეკლარაცია მოითხოვს შეწყვიტონ ყველა სამხედრო და სხვა აქცია, რომელნი მიზანია ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობა, მოუწოდებს სახელმწიფოებს, მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით გადაჭრან დავა, ხელი შეუწყონ იმას, რომ რაც შეიძლება მალე მიღწეულ იქნეს შეთანხმება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ მტკიცე საერთაშორისო კონტროლით, ხელი შეუწყონ იმას, რომ განხორციელდეს ატომური განიარაღების ღონისძიებანი და გამალებული შეიარაღების შეზღუდვისა და შეწყვეტის და ვინიარაღების სხვა ღონისძიებანი.

დელეგატების გამოსვლებში გამოთქმული იყო იმედი, რომ „საერთაშორისო კლიმატი" მნიშვნელოვნად გაუჯობესდება. ამასთან დაკავშირებით ბევრი აღნიშნავდა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს მოსკოვში საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ხელმოწერილ შეთანხმებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ. ტანმა თავის მოხსენებაში გენერალური ასამბლეის 25-ე სესიაზე ხაზი გაუსვა, რომ ამ ხელშეკრულებას შეიძლება მოჰკიოს „ხანის „განმტკიცება ქვეყნებს ურთიერთობაში". უმრავლესობის აზრი გამოთქვა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. შუმანმა, რომელმაც განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულება საფუძველს უყრის სხვადასხვა ქვეყნის თანამშრომლობას და საფუძველს ამზადებს საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების პერსპექტივას.

ბერლინი — საიუბილეო მზადება

ბერლინი, 5 ოქტომბერი. სპეციალური კორესპონდენტი მ. ნიკიტინი გვატყობინებს:

ამ დღეებში, დიდი დღესასწაულის — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 21 წლისთავის წინ, მთელ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ნახავთ წითელ ტილოებს ლოზუნგებით, რომლებიც ადიდებენ გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას. ლოზუნგებში ხაზგასმულია გერმანიის სოციალისტური სახელმწიფოს მშრომელთა ამ ნაცადი მებრძოლი ავანგარდის ხელმძღვანელი როლი.

საიუბილეო ზეიმი ემთხვევა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ორ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ კამპანიას — გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიაში პარტიული დოკუმენტების განხილვასა და პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლის დაწყებას.

პარტიული დოკუმენტების გამოცვლამ დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს პარტიის რიგებში შემდგომ პოლიტიკურ-იდეოლოგიურ და ორგანიზაციულ განმტკიცებაში. ამ კამპანიის პირველი ეტაპის დამთავრების — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პირველადი ორგანიზაციების კრებების მოწყობის შემდეგ — ოქტომბერში დაიწყო მეორე ეტაპი — პირადი გასაუბრებანი პარტიის წევრებთან.

პარტიის ერთიანობისა და შეკავშირების, მარქსიზმ-ლენინიზმისადმი მისი ერთგულების ნიშნით და მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ მთელი ძალები მოახმარონ სოციალიზმის განვითარებული საზოგადოებრივი სისტემის მშენებლობას, ჩაიარა კომუნისტთა კრებებმა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის 53 ათასზე მეტ პირველადს ორგანიზაციაში, რომლებშიც არის პარტიის 1,9 მილიონი წევრი და წევრობის კანდიდატი. განიხილეს მასების შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომი განვითარების საკითხები იმ ამოცანათა შესრულებისათვის ბრძოლაში, რომლებიც პარტიის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობენ.

[illegible] ეროვნული ეკონომიკის მინისტრმა ომარ ნახეულმა, რომელიც გამოვიდა ამბონს რადიოთი, განაცხადა, რომ იორდანიის მოსახლეობის არ ექნება ძირითადი საზეიმათო პროდუქტების ნაკლებობა. მაგრამ, როგორც იორდანიის წევრმა ნახეურმავარის საზოგადოების მდივანმა განაცხადა, ამაზეხანდელი შეტაკებების დროს მნიშვნელოვნად დაზიანდა მეფეკამბრტების მარაგი, როგორც ამაში პრეს-კონფერენციაზე განაცხადა ინფორმაციის მინისტრმა ფენან ანუ ოლამ. მთავრობის ყარეზსა და პალესტინელ პარტიზანებს შორის მომხდარი შეტაკებების შედეგად დაზიანებული საერთო რიცხვი შეადგენს 700 კაცს, ხოლო დაჭრილთა — 1.300-ს. მაგრამ, ხაზი გაუსვა მან, ამ მონაცემებში არ შედიან ისინი, ვინც დაზარალდა ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში შეტაკებების დროს, საიდანაც ავრეთვე გაიფანტრებულნი მებრძოლები ამბობენ „ალ-ჯარიდა" აქვეყნებს თავისი კორესპონდენტის ინტერვიუს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარესთან იასირ არაფატთან, რომელშიც მან ხაზი გაუსვა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს კაიროში მიღწეული შეთანხმების პრაქტიკულ განხორციელებას. არაფატმა განაცხადა, რომ პალესტინის ხელმძღვანელობა მეფე ჰუსეინისგან მოელის ახალი ეროვნული თავრობის შედგენას ამ შეთანხმების შესაბამისად.

კაირო, 5 ოქტომბერი. (საკვლევი). როგორც მენის საგანგებო ეუწყება, კაიროს შეთანხმების შესრულების სპეციალური კომიტეტის მეთაურის მოადგილემ შაბლომ (სუდანი) ამაში ეუნონალისტებს განუცხადა, რომ 6 ოქტომბერს დამთავრდება შესრულება კაიროს შეთანხმების მეორე ეტაპისა, რომელიც ითვალისწინებს იორდანიის არმიის ქვეგანყოფილებისა და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის რაზმების გადაყვანას ისრაელთან ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე, (ამ შეთანხმების განხორციელების პირველ ეტაპზე შესრულდა ამანში ცეცხლის შეწყვეტა, ორივე მოწინააღმდეგე მხარის შეიარაღებული ძალების გაყვანა ირორდანიის დედაქალაქის ფარგლებს იქით).

ამის შემდეგ სპეციალური კომიტეტი დაიწყებს იორდანიის მეფე ჰუსეინსა და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის ხელმძღვანელს იასირ არაფატს შორის დადებული შეთანხმების მესამე, ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპის განხორციელებას.

იორდანიის ინფორმაციის მინისტრმა ადნან აბუ ოდამ განაცხადა, რომ იორდანიის არმიამ უკვე დაიწყო 3 ოქტომბერს გადასვლა პოზიციებზე ისრაელთან ცეცხლის შეწყვეტის ხაზის რაიონში. ეს პოზიციები მას „ეკავა შეიარაღებული შეტაკებების დაწყებამდე. იორდანიის მინისტრმა განაცხადა, რომ იორდანიის მთავრობა მთელი სერიოზულობით ეკიდება კაიროს შეთანხმების შესრულებას და მაღე გადავიტანს ეუფლებს 6.500 დაპატიმრებულსა და დაკავებულს.

იორდანიის სამხედრო გუბერნატორმა ბაზელ ალ-ალამ გასცა სპეციალური ბრძანება, რომლითაც ნება დართულია სურსათის ადგილობრივ ავტორანსპორტის თავისუფალი მოძრაობა სახელმწიფოში.

მდგომარეობა იორდანიაში

ბეირუთი, 5 ოქტომბერი. (საკვლევი). აქ მიღებული ცნობებით, იორდანიაში გრძელდება მთავრობის ჯარების გაყვანა ამანის რაიონიდან და სხვა ქალაქებიდან პოზიციებზე ისრაელთან ცეცხლის შეწყვეტის ხაზის გასწვრივ. გაჰკვთ აგრეთვე პალესტინელ პარტიზანთა ძალები. გაწასლდა ხამგზავრო და კომერციული რეისები ამანის აეროპორტით. აღდგენილია იორდანიის დედაქალაქის ჰოსპიტლებისა და საავადმყოფოების მომარაგება წყლითა და ელექტროენერგიით. მუშაობს მეტი წილი მაღაზიები.

ეროვნული ეკონომიკის მინისტრმა ომარ ნახეულმა, რომელიც გამოვიდა ამანის რადიოთი, განაცხადა, რომ იორდანიის მოსახლეობის არ ექნება ძირითადი საზეიმათო პროდუქტების ნაკლებობა. მაგრამ, როგორც იორდანიის წევრმა ნახეურმავარის საზოგადოების მდივანმა განაცხადა, ამაზეხანდელი შეტაკებების დროს მნიშვნელოვნად დაზიანდა მეფეკამბრტების მარაგი, როგორც ამაში პრეს-კონფერენციაზე განაცხადა ინფორმაციის მინისტრმა ადნან აბუ ოდამ. მთავრობის ყარეზსა და პალესტინელ პარტიზანებს შორის მომხდარი შეტაკებების შედეგად დაზიანებული საერთო რიცხვი შეადგენს 700 კაცს, ხოლო დაჭრილთა — 1.300-ს. მაგრამ, ხაზი გაუსვა მან, ამ მონაცემებში არ შედიან ისინი, ვინც დაზარალდა ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში შეტაკებების დროს, საიდანაც ავრეთვე გაიფანტრებულნი მებრძოლები ამბობენ „ალ-ჯარიდა" აქვეყნებს თავისი კორესპონდენტის ინტერვიუს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარესთან იასირ არაფატთან, რომელშიც მან ხაზი გაუსვა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს კაიროში მიღწეული შეთანხმების პრაქტიკულ განხორციელებას. არაფატმა განაცხადა, რომ პალესტინის ხელმძღვანელობა მეფე ჰუსეინისგან მოელის ახალი ეროვნული თავრობის შედგენას ამ შეთანხმების შესაბამისად.

კაირო, 5 ოქტომბერი. (საკვლევი). როგორც ეუწყება, კაიროს შეთანხმების შესრულების სპეციალური კომიტეტის მეთაურის მოადგილემ შაბლომ (სუდანი) ამაში ეუნონალისტებს განუცხადა, რომ 6 ოქტომბერს დამთავრდება შესრულება კაიროს შეთანხმების მეორე ეტაპისა, რომელიც ითვალისწინებს იორდანიის არმიის ქვეგანყოფილებისა და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის რაზმების გადაყვანას ისრაელთან ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე. (ამ შეთანხმების შეთანხმების წინააღმდეგ, აგრეთვე ევროპაში დაძაბულობის შენელების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

„განდევნილთა კავშირის" მეთაურმა, ბუნდესტაგის დეპუტატმა ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისაგან ჩაიან მოუწოდა „ყოველგვარი საშუალებით" იბრძოლონ ევროპის აღლანდელი სახელმწიფო საზღვრების ცნობის წინააღმდეგ.

ტელეტაიპის ლენტიდან

ფაქტები

პარტიული ბარათების გამოცვლა

● **რომი, 5 ოქტომბერი.** (საკვლევი). იტალიაში გრძელდება ყოველწლიური კამპანია იტალიის კომუნისტური პარტიის პარტიული ბარათების გამოსაცვლელად.

1970 წლის 3 ოქტომბრისათვის პარტიული ბარათები გამოცვალა 1 მილიონ 485 ათას 278 კაცმა. მათ შორის 100.455 კაცი პარტიაში წელს შევიდა.

გაზეთი „უნიტა", რომელიც ამ მონაცემებს აქვეყნებს, წერს, რომ პარტიული ბარათების გამოცვლის 1970 წლის კამპანია 31 დეკემბერს მთავრდება.

მხარს უჭერენ

● **სანტიაგო, 5 ოქტომბერი.** (საკვლევი). აქ გაიმართა მმართველი „ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის საგანგებო ეროვნული ხუნტის სხდომა, რომელმაც ბრძოლა გადაწყვეტილება ბაზგასმულია, რომ წინადადებებსა და იდეებს, რომლებიც წინა დღით ერთმანეთს გაეცნენ პარტიამ და სალვადორ ალენდემ მომავალი მთავრობის გეგმების შესახებ, კანონის ხასიათი უნდა მიენიჭოს. ამ მიზნით ხუნტამ დაავალა პარტიის ეროვნულ სამეჭოს შექმნას სარედაქციო კომისია შესაბამისი დოკუმენტის მოსამზადებლად.

მუსლიმანების შედეგები

● **დელი, 5 ოქტომბერი.** (საკვლევი). აგვისტოსექტემბერში გადაუღებელმა წვიმამ მნიშვნელოვანი ზარალი მოუტანა უტარ პრადეშს — ინდოეთის ამ უდიდეს შტატს. ნაიღვარმა წალეკა მრავალ კილომეტრზე გზატკეცილები და რკინიგზები, მთლიანად მოსპო მოსავალი უზარმაზარ მასივებზე. წყალდიდობისაგან დაზარალდა 20 ათასზე მეტი სოფელი. ქალაქებში და სოფლად დაიგარა 387 ათასი საცხოვრებელი სახლი. დაღუპა დაახლოებით 800 კაცი. შტატის მარტო ყველაზე დაზარალებული 20 რაიონისათვის მიუნაწილებელი ზარალი 800 მილიონ რუპიას აღემატება. პრესა აღნიშნავს, რომ უტარ პრადეშში მომხდარი ასეთი წყალდიდობა უკანასკნელი ათი წლის მანძილზე არ ყოფილა.

რაკეტული შეიარაღების წინააღმდეგ

● **ტოკიო, 5 ოქტომბერი.** (საკვლევი). ოსაკაში დამთავრდა ორი დღის თათბირი, რომელიც მიეძღვნა იაპონიის რაკეტული შეიარაღების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს. თათბირი მოეწყო ატომური იარაღის აკრძალვისათვის მებრძოლი ეროვნული კონგრესის, იაპონია-ამერიკის უშიშროების ხელშეკრულების ლიკვიდაციისათვის მებრძოლი ცენტრალური კომიტეტისა და იაპონიის პროფკავშირთა გენერალური საბჭოს ინიციატივით.

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება გაშალონ აქტიური ბრძოლა ახალი რაკეტული ბაზების შექმნის წინააღმდეგ.

თეთრი სახლის ნარკომაკლენლის განცხადება

ნიუ-იორკი, 5 ოქტომბერი. (საკვლევი). ლონდონში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ნიქსონის ვიზიტის დამთავრების შემდეგ ასოშიეიტედ პრესის საგანგებო მოამბემ ბრეკის საგანგებო ეროვნული ხუნტის სხდომა, რომელმაც ბრძოლა გადაწყვეტილება ეროვნულ კონგრესში პრეზიდენტის მომავალი არჩევნების დროს 24 ოქტომბერს, მხარი დაუჭიროს სახალხო ერთიანობის ბლოკის კანდიდატს სალვადორ ალიენდეს. ხუნტის გადაწყვეტილებაში ხაზგასმულია, რომ წინადადებებსა და იდეებს, რომლებიც წინა დღით ერთმანეთს გაეცნენ პარტიამ და სალვადორ ალენდემ მომავალი მთავრობის გეგმების შესახებ, კანონის ხასიათი უნდა მიენიჭოს. ამ მიზნით ხუნტამ დაავალა პარტიის ეროვნულ სამეჭოს შექმნას სარედაქციო კომისია შესაბამისი დოკუმენტის მოსამზადებლად.

ინდოეთი — ქერალის ახალი მთავრობა

დელი, 5 ოქტომბერი (საკვლევი). გუშინ ქერალის შტატში მოვალეობის შესრულებას შეუდგა გაერთიანებული ფრონტის მთავრობა ინდოეთის კომუნისტური პარტიის მეთაურობით. მიწის რეფორმის განხორციელება, ინდუსტრიალიზაციის პროგრამა, ადმინისტრაციული აპარატის მუშაობის მოწესრიგება, შტატის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, უმუშევრობის ლიკვიდაცია — ასეთია ახალი მთავრობის უპირველესი ამოცანები, განაცხადა ინდოეთის პრესის საგანგებო-სათვის მიცემულ ინტერვიუში შტატის მთავარმა მინისტრმა აჩუტა მენონმა. გარდა აჩუტა მენონისა, მთავრობაში შევიდა ინდოეთის კომუნისტური პარტიის კიდევ სამი წარმომადგენელი, ორი წარმომადგენელი მუსლიმანური ლიგისა და რევოლუციურ-სოციალისტური პარტიისაგან, ერთიც — სოციალისტური პარტიის წარმომადგენელი. ყველა ეს პარტია შედის „გაერთიანებულ ფრონტში, რომელმაც ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიის მხარდაჭერით გაიმარჯვა საკანონმდებლო კრების არჩევნებში.

გფრ — რევანშისტები არ ცხრებიან

ბონი, 5 ოქტომბერი. (საკვლესი). დიდი რევანშისტული თავყრილობა გაიმართა გუშინ ბონის გარეუბან ბად გოდესბერგში. იგი მოაწყო ეგრეთ წოდებულმა „აღმოსავლეთ გერმანიის მიწათმფლობელთა გაერთიანებამ" და მიზნად ისახავს რევანშისტული და სხვა მემარჯვენე ექსტრემისტული ძალების აქტივიზაცია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის დადებული შეთანხმების წინააღმდეგ, აგრეთვე ევროპაში დაძაბულობის შენელების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ბოლივია — სამხედრო გადატრიალების ცდა

ნიუ-იორკი, 5 ოქტომბერი. (საკვლესი). **ბოლივიაში სცადეს მოეხდინათ სამხედრო გადატრიალება.** კვირას გარიჟრაჟისას, როცა პრეზიდენტი ალფრედო ოვანდო კახდია ქალაქ სანტა-კრუსში იყო, ბოლივიის დედაქალაქის ლა-პასის ცენტრში გასროლეს მიერაფლორესის სამხედრო გარნიზონმა მთავრობის საწინააღმდეგო ამბოხება მოაწყო. როგორც ასოშიეიტედ პრესის საგანგებო ეუწყება, ამბოხებას სათავეში ედგა ომოის სარდალი გენერალი როხელიო მირანდა, მანიფესტში, რომელიც არმიის რადიოსადგურმა, გადასცა და რომელსაც ხელს აწერდა ოფიცერთა ჯგუფი, მეამბოხეებმა მოითხოვეს პრეზიდენტ ოვანდოს გადადგომა და მისი შეცვლა სამხედრო ხუნტით.

ავიაციამ, დედაქალაქისა და ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ქალაქებიდან — ორტროსა და კოჩაბამბის გარნიზონებმა მხარი დაუჭირეს მთავრობასა და პრეზიდენტს. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა დაგმეს გადატრიალების ცდა და აგრეთვე მხარი დაუჭირეს მთავრობასა და პრეზიდენტს.

გამგზავრება შუა საუკუნეებში

შეხვედრები და შთაბეჭდილებები

— თქვენ მეკითხებით, ისტორია და არქეოლოგია ალბათ თქვენი გატაცებაა. არა, ეს გატაცება კი არა, ეს ჩემი სამუშაოა...

ასე მიპასუხა ინგლისელმა მწერალმა ჯეინს ოლდრიჯმა ჩემს კითხვაზე, რატომ არის, რომ მან, რომანისტმა, უკანასკნელ ხანებში უცვლ ხელი მოჰკიდა სერიოზულ ისტორიულ კვლევას და დაწერა ახალი წიგნი „კაირო". ეგვიპტის დედაქალაქის მაგალითზე, სადაც ოლდრიჯი დიდხანს ცხოვრობდა. მწერალი მოგვითხრობს ეგვიპტელი ხალხის ცხოვრებაზე, ზნე-ჩვეულებებზე, კულტურასა და ხელოვნებაზე პირველი პირამიდების დროიდან ჩვენს დღეებამდე.

— ისტორია და არქეოლოგია, — განაგრძო მწერალმა, — ეს ჩემი შემოქმედების ბაზაა. წარსულის სიმულებით გამოვთქვამ ჩემს დამოკიდებულებას დღევანდელი დღისადმი... ახლა მეტად დამაინტერესა თქვენში აზიის მიკარგულმა კუთხემ — ბახჩისარაიმ და მის გარშემო გათხრებმა. შეიძლება იქ წასვლა?

და აი ყირიმში დასასვენებლად ყოფნის ერთ დღეს ოლდრიჯმა მიაღწია ალერსიანი შავი ზღვა და ბალეზაჯარა ნახევარკუნძულის შიგნით, რათა დაეთვალიერებინა ყირიმის ხანების ყოფილი რეზიდენცია და შუა საუკუნეების ქალაქი ჩუფუთ-კალე.

...იქ, სადაც ოდესღაც გაისმოდა შუაღამის ბუბუტები, რომლებიც სალოცავად მუეზინობდნენ მუსლიმანებს, ახლა გაისმა მეგაფონით გაძლიერებული ხმა:

— პირველი ჯგუფი მოვიდეს შესასვლელთან.

ამ ჯგუფთან ხანის სასახლეში ოლდრიჯიც შევიდა.



ფოტოკაკარატი შვეიცარიაში

სტოკპოლმი

შვეიცარიის დედაქალაქის სლიუსენის მოედნისა და ქალაქის საქმიანი ნაწილის ხედი.

ფოტო პრმსნეს ბილდ-საკდესისა.

— აქ, გარდა რომაულისა, ბევრი რამ ბერძნულიც არის, — შენიშნა მწერალმა, როცა ლაპარაკობდა სასახლის ყველაზე ძველ ნაწილზე — რკინის კარნიზზე, რომელიც შემკობილია ანაბული წარწერებით.

კარნიზი მართლაც შესრულებულია იტალიელი ხუროთმოძღვრის ალეკზეზ ფრიაზინ ახლის მიერ 1503 წელს, რომელიც რუსმა მეფემ ივანე მესამემ მიიწვია მოაგვარაჯიელოზის ტაძრის ასაშენებლად კრემლში. მოსკოვის გზაზე ხუროთმოძღვარი დაკავა ხანმა მენგლი-გირეიმ ბახჩისარაიში.

ყველაზე პოეტურ კუთხეში — ცრემლის მადონავანთან, რომელსაც უმღერა პუშკინმა უდანაშაულოდ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

მე-8 ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 6 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ, 1970 Წ.

საქართველოს ამბავი — ხალხის ამბავი

საიუბილეო ტანკერი

უკვე რამდენიმე წელია შორეულ ოკეანეებსა და ზღვებს ხეროვს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გემები და ტანკერები.

ახლა, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება სახელოვნად აღნიშნოს ხალხთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვანი იუბილე, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს შემატა კიდევ ერთი ტანკერი. ნიშნად დიდი ზეიმისა ტანკერს ეწოდა „ხალხთა საქართველოს 50 წელი".

მალე ტანკერი „ხალხთა საქართველოს 50 წელი" გავა თავის პირველ საფუძაო რეისში.

ისინი ყირიმისათვის იბრძოდნენ

ფილმის საზოგადოებრივ განხილვაზე

დარბაზში სამამულო ომის მონაწილენი, ვეტერანები — სხვადასხვა რანგის, წოდებისა და დამსახურების ადამიანები, ჯარისკაცები, ოფიცრები, გენერლები ისხდნენ. უჩვეულო სიჩუმე იდგა. ეკრანზე გაცოცხლდა ყირიმის ბრძოლების კადრები, გაცოცხლდნენ ის დღეები, განცდები, მაგრამ სამშობლოსათვის თავდადებული ბევრი ვაჟკაცის გაცოცხლება ვერავითარ ძალას ვეღარ ძალუძს. ისინი ჩვენმა გულმა, მეხსიერებამ, მადლიერების უსაზღვრო გრძნობებმა სამუდამოდ შემოინახა და თაობებს გადასცა.

ეკრანზე უჩვენებდნენ სამეცნიერო-პოპულარული და ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების საქართველოს სტუდიის მიერ შექმნილ ფილმს „ისინი ყირიმისათვის იბრძოდნენ". ფილმის სცენარის ავტორები არიან ნ. თავართქილაძე, ვ. სიხარულიძე, რეჟისორი — შ. ჩაგუნავა, ოპერატორი — ლ. არზუმანოვი.

ფილმის საზოგადოებრივმა განხილვამ თბილისის ინტელიგენციის ცხოველი ინტერესი და ცხარე კამათი გამოიწვია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა საზღვაო ფლოტის კონტრადმირალმა მ. ჭინჭარაძემ, გენერალ-მაიორებმა გ. ყურაშვილმა და პ. აბრამიძემ, პოლკოვნიკებმა ე. ქანთარიამ და მ. ბუსკაძემ, ჟურნალისტებმა გ. თოდუამ და მ. დავითაშვილმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. ქოიავამ, პედაგოგმა მ. ლაშმა, სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა ი. მაღლიანმა. დასასრულ სიტყვით გამოვიდა ფილმის რეჟისორი შ. ჩაგუნავა.

ზ. რცხილაძე.

ქართული სამზარეულო უნგრეთში

ბუდაპეშტი, 4 ოქტომბერი. ხაკდესის კორესპონდენტი ა. სემიონოვი გვატყობინებს.

სასტუმრო „ბუდაპეშტის" 18-სართულიანი შენობის წინ ქარი აფრიალებს უზარმაზარ ტილოს, რომელზეც წარწერილია სიტყვები „ქართული სამზარეულოს ზეიმი". გუშინ აქ, ბუდაპეშტის ერთ-ერთ უველაზე თანამედროვე სასტუმროში, საზეიმოდ გაიხსნა ქართული გასტრონომიის დეკადა. გახსნას დაესწრნენ საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე მ. ა. შიხაშვილი და აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის მინისტრი რ. კ. ხინკუბა, რომლებიც ბუდაპეშტში ჩამოვიდნენ ამ დეკადასთან დაკავშირებით.

გახსნაზე შეიკრიბა ბევრი სტუმარი. მათ სიტყვით მიმართა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საშინაო ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ლ. ბორშოშმა. ეს დეკადა მოწმობს, თქვა მან, რომ განუხრელად მტკიცდება უნგრეთისა და საბჭოთა ხალხების მეგობრობა, საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის დარგში თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების ერთ-ერთი ფორმა.

ქართული გასტრონომიის დღეები ბუდაპეშტში ეწყობა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრების შეთანხმებით მიმდინარე წლის ივნისში უნგრული სამზარეულოს ოსტატებმა თავიანთი ოსტატობა აჩვენეს თბილისის ერთ-ერთ რესტორანში. ამჯერად ქართველი კოლეგები ეწყვინენ უნგრეთის დედაქალაქს, რათა ბუდაპეშტელებს გააცნონ თავიანთი ეროვნული სამზარეულოს საიდუმლოებანი.

სტუმართა ჯგუფში არიან გამოცდილი მზარეულები, ხაბაზები და სხვა სპეციალისტები. ჩამოვიდა ავრეთვე ქართული სიმღერისა და ცეკვის საესტრადო ანსამბლი „ციცინათელა".

სასტუმრო „ბუდაპეშტის" რესტორნის უველაზე დიდი დარბაზი ახლებურად გამოიყურება. მის კედლებს ამშვენებს ქართული ოქრომჭედლობა. ეროვნული ორნამენტიანი ხუფრები გადაუფარებიათ მაგიდაზე.

დღეიდან მთელი დეკადის განმავლობაში აქ სტუმრებს მიართმევენ მხოლოდ ქართული სამზარეულოს კერძებს.

საკაკტიო მიწვევა

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ და კომპოზიტორთა კავშირმა გამოაცხადეს საერთაშორისო კონკურსი ცნობილი უნგრელი კომპოზიტორის ბელა ბარტოკის ხსოვნისადმი მიძღვნილი სიმღერიანი კვარტეტისათვის ნაწარმოების შესაქმნელად. კონკურსის ეიურიში მიწვეული არიან მსოფლიოს თვალსაჩინო მუსიკოსი შემსრულებლები და კომპოზიტორები. საბჭოთა კავშირიდან ეიურის შემადგენლობაში შევა საქართველოს სახალხო არტისტი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი ს. ცინცაძე. იგი ბუდაპეშტში ნოემბერში გაემგზავრება. (ხაქდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბათუმში დაიწყო კომფორტაბელური მრავალსართულიანი სახლების მშენებლობა, რომელთა ნაწილი უკვე გადაცემულია საექსპლოატაციოდ.

სურათზე: ახალი საცხოვრებელი სახლები ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე.

ფოტო ს. ანჯელოსი.

ტურნირი იუგოსლავიაში

იუგოსლავიის ქალაქ ვინკოვცში დაიწყო საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ საბჭოთა გროსმაისტერები ტ. პეტროსიანი, მ. ტალიანოვი და დ. ბრონშტეინი. ტურნირში გამოდიან აგრეთვე ცნობილი მოჭადრაკეები ლარსენი (დანია), ჰორტი (ჩეხოსლოვაკია), გლიგორიჩი და პარმა (იუგოსლავია), საბო (უნგრეთი) და სხვ. უკანასკნელ მომენტში რ. ფიშერმა უარი თქვა ტურნირში მონაწილეობაზე და მის ნაცვლად ავსტრალიელი სატლზი თამაშობს.

პირველ ტურში პეტროსიან-ბრონშტეინის პარტია ყაიმით დამთავრდა, ტალიანოვმა გადადო შეხვედრა მარიჩთან (იუგოსლავია).

სსრ პავშირის თასზე

მოსკოვში გრძელდება დასკვნითი შეჯიბრება სსრ კავშირის თასზე. ჭადრაკში ქალთა შორის. როგორც ვეუწყებოდით, პირველ წრეში ერთმანეთს ხვდებიან მ. რანიკუ (ტალინი) — ნ. გორდონი (ოდესა) და ნ. მედიანკოვა (მოსკოვი) — ტ. ლემაჩკო (მოსკოვი).

პირველ ტურში რანიკუმ შაავებთან ჯერ უარესი პოზიცია მიიღო, მაგრამ შემდეგ გამოიყენა გორდონის შეცდომა და გაიმარჯვა. მედიანკოვამ ასევე უკეთესი შანსები ჰქონდა ლემაჩკოსთან, მაგრამ შემდეგ სერიოზული შეცდომები მოუვიდა და წაგო.

მეორე ტურში რანიკუმ კვლავ მოუგო გორდონს. მედიანკოვა — ლემაჩკოს პარტია გადაიდო.

ლიდერობენ არმიელები

მოსკოვის ცსკა-ს ფეხბურთელები სათავეში ჩაუდგნენ გათამაშების ცხრილს მას შემდეგ, რაც გუშინ ანგარიშით 2:1 დაამარცხეს ტაშკენტის „პახტაკორი". ბურთები გაიტანეს დუდარენკომ და კოპეიკინმა, საპასუხო — ტაშკენტელმა როდიონოვმა.

ლენინგრადი. მეტად ძვირფასი ქულები მოიპოვეს ლენინგრადის „ზენიტის" ფეხბურთელებმა ერევნის „არარატთან" შეხვედრაში — 2:0.

ვოროშილოვგრადი. უკრაინის ორი გუნდის „ზარიასა" და ოდესის „ჩერნომორეცის" ასპარეზობა დამთავრდა — 0:0.

მინსკი. ბელორუსიის დედაქალაქის დინამოელებმა დაამარცხეს ბაქოს „ნეფტჩი" — 2:0.

თბილისს „დინამოსა" და მოსკოვის „სპარტაკის" დუბლშემადგენლობათა მატჩი მოიგეს მოსკოველებმა — 5:2.

ბრაზილიელები კვლავ იმარჯვებენ

მეხიკოს პირველობის შემდეგ სი მაყურებლის თანდასწრებით ოლიმპიადის სამგზის ჩემპიონები — ბრაზილიელი ფეხბურთელები წარმატებით მართავენ ამხანაგურ შეხვედრებს. რიო-დე-ჟანეიროში მეკსიკის ნაკრების დამარცხების შემდეგ (2:1), ჩემპიონები ჩილეს დედაქალაქს ეწვიენენ და 85 ათასი მაყურებლის თანდასწრებით ოლიმპიადის ჩემპიონებს.

ერევნის ველოტრეკზე

სომხეთის დედაქალაქში გრძელდება ახალგაზრდა სსრ კავშირის თასზე. ველოსიმრბოლეები ერევნის „ჩარენსნულ" ტრეკზე ეჯიბრებიან ერთმანეთს.

სპორტსმენებმა რამდენიმე საკავშირო რეკორდი დამყარეს. 10 ათას მეტრზე რბოლაში კურსკელმა ვ. საბლუკოვმა 1969 წლის რეკორდი გაუუმჯობესა, აჩვენა — 12.58,2.

სამმა სპორტსმენმა სცადა ობარ ფხაკაძის რეკორდის გაუმჯობესება 500 მეტრზე რბოლაში. ხარკოველი ს. კრავცოვის ცდა წარმატებით აღინიშნა. მან ორი მეათედი წამით გააუმჯობესა ქართველი ველოსიპედისტის რეკორდი და აჩვენა 28,9 წამი.

სპრინტერთა შორის უძლიერესი იყო მსოფლიოს ჩემპიონი ლენინგრადელი გ. ცარიოვა. ინდივიდუალურ რბოლაში 4 კილომეტრზე გაიმარჯვა ვ. ნაზარენკომ (ბელორუსია).

ბრუმელის რეკორდს შეეჭიდა

ბიშკეკი. სპორტული სეზონის სეზონთესილო შედეგი აჩვენა ლიტველმა სტუდენტმა კისტუტის შაპკამ სოჭში სოციალისტური ქვეყნების მძლეოსანთა ასპარეზობაზე.

კ. შაპკამ სიმაღლეზე ხტომაში დაძლია 223 სანტიმეტრი. ამ სიმაღლეზე ამ სეზონში არც ერთი ევროპელი არ ჯადამხტარა. საბჭოთა სპორტსმენმა სცადა ვ. ბრუმელის რეკორდის (228 სანტიმეტრი) გაუმჯობესება ერთი სანტიმეტრით. მაგრამ ძალი რეკორდ ვერ დაძლია.

აღსანიშნავია, რომ კ. შაპკა ჩვენს ქვეყანაში. ერთბედერთი სპორტსმენია, რომელიც სიმაღლეზე ხტება „ფოსბიური-ფლოპის" სტილით.

ეროვნული სამზარეულო

ბათუმში დაიწყო კომფორტაბელური მრავალსართულიანი სახლების მშენებლობა, რომელთა ნაწილი უკვე გადაცემულია საექსპლოატაციოდ.

სურათზე: ახალი საცხოვრებელი სახლები ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე.

ფოტო ს. ანჯელოსი.

ეუფრთხილდეთ გრიპს!

ექიმი გვირჩევს

ახალ ვირუსს ვიტყვი, თუ მოგაგონებთ, რომ გრიპი ფრთად მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ქვეყნის ეკონომიკასა და მოსახლეობის ჯანმრთელობას. ადამიანებს ენებას აყენებს არა მარტო თვით გრიპი, არამედ ის გართულებებიც, რომლებიც მას ხშირად ახლავს. საქმე ის არის, რომ ტოქსინები, რომლებიც ამ ინფექციის გამომწვევის გამრავლებისას წარმოიქმნება, მკვეთრად აზშობენ ორგანიზმის დამცავ ძალებს. სარგებლობენ რა ამით, სხვადასხვა მიკრობები, რომლებიც ჩვეულებრივ პირობებში ადამიანს თითქმის ვერავითარ ზიანს ვერ აყენებენ, იქტიერ გამრავლებას იწყებენ და პროგრესიულად იწვევენ ისეთ თანმგზავრ ავადმყოფობათა განვითარებას, როგორიც არის ბრონქეტის, ცხვირის ღრუების, ფილტვების, პლევრის, ყურების, ტვინის გარსების ანთებისაც კი. გრიპის დროს საკმაოდ ხშირად მწვავდებიან ისეთი მანამდე „მთვლემარე" ქრონიკული დაავადებანი, როგორც ტუბერკულოზი, რევმატიზმი, გულის ავადმყოფობანი.

ყველაზე არასასიამოვნო მოვლენები დაკავშირებულია, როგორც ვიცით A გრიპის ვირუსთან. სწორედ მისი ნაირსახეობანი იწვევენ ყველაზე დიდ ეპიდემიებს. მისგან განსხვავებით B გრიპის ვირუსი იწვევს ნაკლებად ინტენსიურ გავრცელებას. მთავარი უბედურება ის არის, რომ ყოველთვის ვხვდებით არა უკვე ნაცნობ ვირუსს, არამედ მის სახეშეცვლილ თანამომძლე. დაავადებათა თვითეული ახალი ტალღისას ავადმყოფობის აღმძვრელის გარეთა ცილოვანი გარსის აღნაგობა უფრო ხშირად სავსებით როდი ჰგავს წინანდელს. ასეთი გარდაქმნა ხდება იმ იმუნიტეტს გველინთ, რომელიც მოსახლეობაში გამომუშავდება. ყველას გვახსოვს, რომ, მაგალითად, 1968 წელს მსოფლიო ასპარეზზე გამოჩნდა ვირუსი A2 — ჰონკონგი. ეს ახალი და უკვე მნიშვნელოვნად განსხვავებული მანამდე გავრცელებული A2 ვირუსისაგან. ჰონკონგიდან მოსული ვირუსის მიერ გამოწვეულმა დაავადებამ მალე პანდემიის ხასიათი მიიღო და ორი წლის განმავლობაში (1969-70 წწ.) ორჯერ მოედო მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანას.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ გვაინტერესებდეს: შემდეგში რა ახალი სახით მოგვეევლინება უხილავი და დაუპატიჟებელი სტუმარი? მთელი მსოფლიოს მეცნიერები განსაკუთრებით დაძაბული ყურადღებით ადევნებენ თვალყურს გრიპის აღმძვრელთა ქცევას ეპიდემიათშორის პერიოდებში. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ვირუსის მორიგი „სახეცვლა" შეუმჩნეველი არ დარჩეს. ცნობილია, რომ ეპიდემიათაშორის პერიოდშიც გრიპით ავადდებიან ცალკეული ადამიანები და, განსაკუთრებით, პატარა ბავშვები, რომლებსაც ჯერ კიდევ არა აქვთ დამცავი იმუნიტეტი. ვირუსის ცირკულაცია იმათ შორის, ვისაც გრიპი არ გადაუტანია, — ეი ერთ-ერთი ადგილი, სადაც აქტიურად იწყო ციირკულაცია მიმდინარე წლის ჯერ კიდევ თებერვალ-მარტში, მაგრამ ეპიდემია შეწყვიტა ვირუსების გავრცელებისათვის არახელსაყრელ მაფეხულის სეზონმა. ეპიდემია შეიძლება განახლდეს შემოდგომის ბოლოს და უფრო მოსალოდნელია, რომ ექნება დროის მიხედვით გაჭიანურებული მცირე სიმაღლის ტალღის ხასიათი. მაშასადამე, საჭიროა უკვე ახლა საბრძოლველად გავამზადოთ ყველა დამცავი ღონისძიებანი.

გრიპზე რომ ვფიქრობთ, არ უნდა გვაინუყდეთოდეს მისი „თანამომძმენიც", ეგრეთწოდებული გრიპის მსგავსი ინფექციები. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ მთ მწვავე სეზონურ კატარებს აკუთვნებდნენ. მეიჩნდათ, რომ ამ გარეგნულად გრიპის მსგავს დაავადებებს ფესვეს გაცივება ან რიღაც სხვა გარეშე ზემოქმედება, რაც ამცირებს ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარს, მაგრამ მეცნიერება დღეს უარყოფს ასეთ თვალსაზრისს. ორგანიზმის გარეთ ქსოვილების კულტივირების მეთოდებში ამ უკანასკნელი წლების მანძილზე მომხდარმა ძირეულმა ძვრებმა შესაძლებელი გახადა ასეთ ავადმყოფობები აღმოეჩინათ ათობით და ასობით მანამდე უცნობი ვირუსები. შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ბევრი მათგანი სწორედ გრიპის მსგავსი ინფექციების გამომწვევია, ამ უწვრილეს პარაზიტთაგან (პარაგრიპის გამომწვევთაგან) ზოგნი აღნაგობით ახლოს დგანან საკუთრივ გრიპის ვირუსებთან, მეორე დიდი ჯგუფი — რინოვირუსები, გადამდები სურდოს (რინიტის) გამომწვევნი არიან, მესამე ჯგუფს შეადგენენ ეგრეთ წოდებული ადენოვირუსები. სეზონური კატარებისაგან განსხვავებით, ყველა ამ აღმძვრელს მიერ გამოწვეული დაავადებანი

ლიტერატურული კონკურსი

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა გამოაცხადეს საქართველოს პროფკავშირთა ლიტერატურული კონკურსი, რომელიც ძღვნიდა საქართველოს სსრ რესპუბლიკისა და რესპუბლიკური დათვალიერებების 50 წლისთავს.

კონკურსში მონაწილეობენ პროფკავშირთა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან არსებული ლიტერატურული გაერთიანებებისა და წრეების წევრები.

გამარჯვებულთათვის დაწესებულია შემდეგი პრემიები.

პროზის დარგში: ერთი პირველი პრემია — 500 მანეთის და ორი მეორე პრემია თვითეული 300 მანეთის ოდენობით;

პოეზიის დარგში: ერთი პირველი პრემია — 500 მანეთის და ორი მეორე პრემია თვითეული 300 მანეთის ოდენობით;

დრამატურგიის დარგში: ერთი პირველი პრემია — 500 მანეთის და ორი მეორე პრემია თვითეული 300 მანეთის ოდენობით;

ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებული ნაწარმოებების ავტორები გარდა ფულადი პრემიისა დაჯილდოვდებიან საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის საპატიო სიგელით.

ავტორებმა ხელნაწერები უნდა გამოგზავნონ მისამართით: თბილისი, ბრიუსოვის ქუჩა № 19, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო, „ლიტერატურული კონკურსისათვის". ხელნაწერების წარმოდგენის ვადაა 1971 წლის 10 იანვრამდე (საქდესი).

ტელევიზია

6 ოქტომბერი

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სტალინგრადის ბრძოლის ფურცლები" (პირველი და მეორე სერია), 12.15 — მხატვრული ფილმი „დაგვიანებული ყვავილები", 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — „ცეროდენას ეკრანი", 18.15 — განცხადებები, 18.20 — მოსწავლეთათვის „კომკავშირული აქტივის ტრიბუნა", 18.40 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის: „ოქროს საწმისი", 19.10 — „საბჭოთა საქართველო-50". „დიადი წლების ქრონიკა" — 1922 წელი, 19.30 „შეხვედრა მომღერალთან" (სტუდიაში — ზ. ანჯაფარიძე), 20.05 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე — „სპარტაკი" (მოსკოვი) — „დინამო" თბილისი (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — მხატვრული ფილმი „მკვლელობა, რომელიც დავიწყებას არ მიეცემა".

7 ოქტომბერი

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — გერმანული მხატვრული ფილმი „მკვლელობა, რომელიც დავიწყებას არ მიეცემა", 12.50 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე — „სპარტაკი" მოსკოვი — „დინამო" თბილისი. მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — სატელევიზიო ფილმი „ფუნჯით ნათქვამი", 18.30 — განცხადებები, 18.35 — გადაცემა ბავშვებისათვის ციკლიდან „გამოჩენილი კომპოზიტორები" — მელოტონ ბალანჩივაძე, 19.15 — გადაცემა „კონტინენტები, ქვეყნები, პრობლემები", 19.45 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ქოლგა", 20.00 — „ტექნიკის სამყაროში", 20.20 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. დოკუმენტური ფილმი „ამხანაგი ბერლინი" (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების 21 წლისთავის გამო), 21.10 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.35 — ქართული მხატვრული ფილმი „ვინ არის დამნაშავე", 23.00 — მხატვრული თვითმოქმედების კონცერტი. (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან).

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

6 ოქტომბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — გედის ტბა; **რუსთაველის** სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ხანუმა; **ვახო აბაშიძის** სახელობის მუსიკალური კომედიის — ჩემი სიდედრი.

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

თბილისი ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-08, 99-08-09, პ/მგ მდივნის — 99 72 80, ხალხ.-ეკონომ. — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, სატირისა და ფელეტონის — 99-60-21, უცხოეთის — 93-95-97, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-23-54.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 68443 УЕ 04429

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.